ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №3999487

ნომერი: AR1605547

თარიღი : 02.06.2018

გაცემის თარიღი : 06.06.2018

გაცნობის თარიღი : 06.06.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , 300 არაგველის , გასასვლელი II , N 23 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა იალბუზი , N 17-ის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , ქუჩა 300 არაგველი , N 22 , მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , 300 არაგველის IIგასასვლელი N23-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , ქუჩა 300 არაგველი , N 2/3 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა 300 არაგველი , N 31 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა 300 არაგველი , N22 ; ქალაქი თბილისი , იალბუზის ქუჩის ასახვევთან არსებული ფერდობი (ნაკვეთი 138/074); ქალაქი თბილისი , იალბუზის ქუჩის ასახვევთან არსებული ფერდობი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზვიად სურგულაძე პ/ნ 01017010566
- თბილისი ლ.გუდიაშვილის ქ. N 9

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვისგაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის#14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის

“თანახმად.

## ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 2 ივნისის AR1605547 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქ თბილისში, მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.17.01.138.312) სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას,

პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 1 აგვისტოს N1-1000 ბრძანებაში ცვლილების განხორციელებისთვუს განცხადება უნდა ატვირთოთ ქ. თბილისის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის საიტზე: https://urban.tbilisi.gov.ge შესაბამის ნომენკლატურაში. მას შემდეგ რაც მერის ბრძანებაში შეტანილი იქნება აღნიშნული ცვლილება, შესაძლებელი გახდება მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელება.
დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 60 სამუშაო დღე. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2018 წლის 2 ივნისის AR1605547 განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge